საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/192 "14" იკლისი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი კომიტეტის შექმნის შესახებ

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით" გათვალისწინებული მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე:

1. შეიქმნას მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი კომიტეტი (შემდგომში - კომიტეტი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო გვენეტაძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ლევან მურუსიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

გ) თამარ ალანია - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

დ) მერაბ გაბინაშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ე) შოთა გეწაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ვ) ევა გოცირიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ზ) ლევან თევზაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

თ) ილონა თოდუა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ი) ვახტანგ თორდია - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

კ) გოჩა მამულაშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ლ) სერგო მეთოფიშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

მ) ვახტანგ მჭედლიშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ნ) პაატა სილაგაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ო) კახაბერ სოფრომაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

პ) თინათინ აბრალავა - მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ჟ) ვალერიან გავაშელი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის უფროსი;

რ) ილია დევიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ს) გიორგი პავლაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ტ) თამარ სულაქველიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

უ) ალექსანდრე წულაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ფ) შორენა გიგაური - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ქ) შოთა ქარჩავა - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ღ) ეკა არეშიძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ყ) მირანდა ერემაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

შ) თინათინ ბეჟაშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მენეჯერი;

ჩ) გიორგი კოპალიანი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერი;

ც) მარიამ ცქიფურიშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი;

ძ) ანა შალამბერიძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი - ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატორი კოორდინატორი;

წ) ლაშა მაღრაძე - სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი;

ჭ) კახა კოჟორიძე - საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების საკითხებში;

ხ) ზურაბ დეკანოიძე - საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი;

ჯ) ირინე წაქაძე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი;

ჰ) ნათია სონღულაშვილი - საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი;

ჰ.ა) ნინო ხოფერია - სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე.

ჰ.ბ) ეკატერინე გუნცაძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი;

ჰ.გ) შორენა პეტავა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი;

ჰ.დ) ირაკლი შონია - სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე;

ჰ.ე) მაია ბაქრაძე - „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ჰ.ვ) თამარ სადრაძე - სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საპარლამენტო მდივანი;

ჰ.ზ) ლევან მესხორაძე - ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა“ ხელმძღვანელი;

ჰ.თ) ანა ნაცვლიშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;

ჰ.ი) ეკა ციმაკურიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;

ჰ.კ) გია გვილავა - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო;

ჰ.ლ) გიორგი ბერაია - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო;

ჰ.მ) ოლიკო შერმადინი - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო;

ჰ.ნ) ანა აბაშიძე - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის;

ჰ.ო) ანა არგანაშვილი - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის;

ჰ.პ) წინო ელბაქიძე - კონსტიტუციის 42-ე მუხლი;

ჰ.ჟ) გიორგი კლდიაშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

ჰ.რ) გიორგი დავითური - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

ჰ.ს) სოფო ვერძეული - ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი;

ჰ.ტ) ქეთი კუკავა - ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.

2. კომიტეტის საქმიანობაზე საერთაშორისო ექსპერტ-დამკვირვებლის სტატუსით მოწვეულ იქნან:

ა) იენს დეპე - GIZ-ის სამართლის პროგრამის საქართველოს ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) თამარ ზოდელავა - GIZ-ის სამართლის პროგრამის უფროსი მრჩეველი;

გ) გიორგი ჩხეიძე - EWMI/PROloG პროექტის ხელმძღვანელი;

დ) ინგა თოდრია - EWMI/PROloG პროექტის მართლმსაჯულების რეფორმის მრჩეველი;

ე) სოფიო წაქაძე - ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში;

ვ) თინათინ უფლისაშვილი - ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში.

ზ) რუსუდან ტუშური - გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ კოორდინატორი;

თ) სულხან გამყრელიძე - საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) პროექტის კოორდინატორი.

3. კომიტეტი ახორციელებს სასამართლო სისტემაში არსებული სტრატეგიული პრობლემური საკითხების გამოვლენას და მსჯელობს მათ გადასაწყვეტად საჭირო ღონისძიებებზე, რაც აისახება მართლმსაჯულების სტრატეგიასა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმაში.

4. კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) კომიტეტის სხდომაზე მოისმინოს კომიტეტის სამუშაო ჯგუფების წინადადებები და მოსაზრებები;

ბ) კომიტეტის ან მისი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მოიწვიოს სახელმწიფო თანამდებობის პირები, სპეციალისტები, მათ შორის, საერთაშორისო კონსულტანტები;

გ) განსახილველ საკითხებზე ჩაატაროს კონფერენციები, სემინარები, გამართოს დებატები;

დ) მოამზადოს მართლმსაჯულების სტრატეგია და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

5. კომიტეტს ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

6. კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს კომიტეტს სხვა პირებთან ურთიერთობაში;

ბ) კოორდინაციას უწევს კომიტეტის სამუშაო ჯგუფების საქმიანობას;

გ) იწვევს და უძღვება კომიტეტის სხდომებს;

დ) ხელს აწერს კომიტეტის სხდომების ოქმებს და კომიტეტის სხვა დოკუმენტაციას.

7. კომიტეტი, კომიტეტის წევრებისა და საერთაშორისო ექსპერტ-დამკვირვებლების მონაწილეობით, ქმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) კომიტეტის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის მომხსენებელს კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს კომიტეტი. სამუშაო ჯგუფი შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს კომიტეტს.

8. კომიტეტის წევრს და საერთაშორისო ექსპერტ-დამკვირვებელს შეუძლია საკუთარი სურვილით გაერთიანდეს ერთ ან რამოდენიმე სამუშაო ჯგუფში. საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად, სამუშაო ჯგუფის მიერ შესაძლებელია შეიქმნას შესაბამისი ქვეჯგუფები.

9. კომიტეტთან იქმნება კომიტეტის სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომიტეტის და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ადმინისტრირებას და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. სამდივნოს ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტი.

10. სამდივნოს ხელმძღვანელობს კომიტეტის მდივანი. კომიტეტის მდივანს კომიტეტის წევრთაგან, კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს კომიტეტი.

11. კომიტეტის მდივანი:

ა) ამზადებს კომიტეტის და მისი სამუშაო ჯგუფების სხდომებს და უზრუნველყოფს მათი ოქმების წარმოებას;

ბ) განაგებს კომიტეტის საქმისწარმოებას;

გ) კოორდინაციას უწევს მოწვეული ექსპერტების საქმიანობას.

12. კომიტეტის საქმიანობის ძირითადი ფორმებია კომიტეტის სხდომა და სამუშაო ჯგუფის სხდომა. კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფების სხდომები ღიაა. კომიტეტის სხდომას კომიტეტის თავმჯდომარე იწვევს საჭიროებისამებრ, მაგრამ 2 თვეში ერთხელ მაინც. სამუშაო ჯგუფის სხდომას სამუშაო ჯგუფის მომხსენებელი იწვევს საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ორჯერ მაინც.

13. კომიტეტის/სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის/სამუშაო ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი. კომიტეტის/სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე კომიტეტის/სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი.

14. კომიტეტი დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს და მართლმსაჯულების სტრატეგიის პროექტს დასამტკიცებლად წარადგენს 2016 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმას - 2017 წლის 31 იანვრამდე. აღნიშნული ვადები, კომიტეტის წინადადების საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელებულ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

15. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 23 მაისის №1/136 გადაწყვეტილება.

16. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი